ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.bpentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 46
(11 605)

18 – 20 ივნისი, 2002 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



მსოფლიო XVII ჩემპიონატი ფეხბურთში

## გუშინ...

ბრაზილია – ბელგია 2-0
მექსიკა – აშშ 0-2

იხ. მე-4-5 გვერდი




„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი თენგიზ გაჩეჩილაძე მოსკოვში მიმდინარე დსთ-ს, ბალტიის ქვეყნებისა და რუსეთის რეგიონების ჭაბუკთა საერთაშორისო სპორტული თამაშებიდან გვატყობინებს:

# პირველი მედალი საქართველოს ცხენოსანმა მოუტანა




თბილისელი 17 წლის მხედრის ირაკლი ბულისკირიას წარმატება თამაშების პირველ სენსაციად აღიქვეს. ისეთ ურთულეს სახეობაში, როგორიცაა დაბრკოლებათა გადალახვა, ცხენმხედრის, ანუ ორი სულიერი არსების შეთანხმებული, მეტიც, უზუსტეს მოძრაობებზეა დამოკიდებული. ბევრმა მხედარმა, მათ შორის მოსკოვიდან და რუსეთის რეგიონებიდან თავი ვერ გაართვა ამ რთულ ამოცანას და განბილებულები დატოვეს გულშემატკივრებიც და დელეგაციებიც. არადა, პირველი მედლები სწორედ ამ სახეობაში გათამაშდა. აქ სრულ წარმატებას მოსკოველ ცხენ-მხედრებს უწინასწარმეტყველებდნენ. კარგად მომზადებული გუნდებით იყვნენ წარმოდგენილნი აგრეთვე რუსეთის რეგიონები, ბელარუსი, უკრაინა, ბალტიის ქვეყნები. სულ შეჯიბრებაში ჩაება 57 ცხენ-მხედარი.

ჩვენი ცხენები მოსკოვში მანქანით ჩაიყვანეს, რამაც, ცხადია; დამატებითი სიძნელეები შექმნა. ქართველებისგან მეტოქეები სერიოზულ კონკურენციას არ მოელოდნენ, მაგრამ მოხდა პირიქით, რუსეთის, ბალტიის ქვეყნების, უკრაინისა და ბელარუსის მხედრებთან ერთად ჩვენი ჭაბუკები თავიანთი მერნებით, ანგარიშგასაწევი გახდნენ ყველასთვის. უკეთ ჩვენებიდან ირაკლი ბულისკირიამ იასპარეზა ფოთელთა ცხენ „გალერაზე", რომელიც ცეზარ შენგელიას საკუთრებაა. თავად ირაკლი კი თბილისის იპოდრომის „ჟოკეი-კლუბის" მხედარია (მწვრთნელი მარდონ ლაბაშია). ორფაზიანი მარშრუტი უშეცდომოდ მხოლოდ სამმა მხედარმა – მოსკოველმა, ბელარუსმა და ქართველმა ბულისკირიამ გაიარა. პირველი სამი ადგილიც მათ შორის ნაჩვენები დროის მიხედვით განაწილდა. ირაკლიმ ჩემპიონობა 2 წამით, ვერცხლის მედალი კი ერთი წამით დათმო. ასე რომ, პირველი მედალი ჩვენს დელეგაციას ცხენოსნებმა მოუტანეს. ახლა წინაა გუნდური შეჯიბრება, სადაც ქართველ ჭაბუკებს წარმატების კარგი შანსი აქვთ, რის შესახებ მათ უკვე გააკეთეს სერიოზული განაცხადი. ამას მრავლისმნახველი და გამოცდილი სპეციალისტებიც აღიარებენ.

წარმატებით დაიწყო გამოსვლა საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრებმა. პირველი შეხვედრა ქვეჯგუფში მათ ჰქონდათ ყირგიზეთის ნაკრებთან, რომლებსაც სძლიეს... 92 ქულის სხვაობით (136:44), რაც თამაშების პირველ თავისებურ რეკორდად დაფიქსირდა. მეორე მატჩში კი ჩვენმა გუნდმა ვოლგისპირეთის ნაკრებს აჯობა 92:73. გუნდის უფროსი მწვრთნელი თამაზ ოქრუაშვილი თვლის, რომ ფინალურ ეტაპზე გასვლა არანაირ სიძნელეს აღარ

(იხ. მე-2 გვ.)

# ბრაზილიელებმა „წითელი ეშმაკუნები" გზიდან ჩამოიცილეს

მატჩი №54. იაპონია — კობე. 17 ივნისი. მერვედფინალური მატჩი.
ბრაზილია – ბელგია 2-0 (0-0)

*ბრაზილია:* მარკოსი, კაფუ, ლუსიო, როკე ჟუნიორი, ედმილსონი, რობერტო კარლოსი, რივალდო (რიკარდინიო), ჟილბერტო, რონალდო, რონალდინიო (კლებერსონი), ჟუნინიო პაულისტა (დენილსონი).

*ბელგია:* დე ვლიგერი, ვან კერკჰოვენი, სიმონსი, ვილმოტსი, გორი, პეტერსი (სონკი), ვალემი, ვერხეიენი, ვან ბიუიტენი, ვანდერჰაგე, მპენზა.

*გააფრთხილეს:* რობერტო კარლოსი, ვანდერჰააგე.

*გოლები:* 1-0 რივალდო (67), 2-0 რონალდო (87).

*მსაჯი:* პიტერ პრენდერგასტი (იამაიკა).

შეხვედრის პირველივე წუთებმა ცხადჰყო, რომ ბრაზილიელ ფეხბურთელებს „წითელ ეშმაკუნებთან" იოლი გასეირნება ნამდვილად არ ელოდათ. უკვე მეორე წუთზე მპენზამ კინაღამ გოლი გაიტანა: უკანასკნელ მომენტში მარკოსმა კუთხურზე მოიგერია ბურთი. ბრაზილიელებმა პირველი საგოლე მომენტი მხოლოდ შუა ტაიმში შექმნეს. რონალდოს მიერ დარტყმული ბურთი სანტიმეტრებით ასცდა ბელგიელთა კარს.

36-ე წუთზე ევროპელებმა გოლი გაიტანეს: მარკ ვილმოტსმა საჰაერო [illegible] მიუგდო როკე ჟუნიორს და ბურთი მარკოსის კარის ბადეში გაახვია, მაგრამ მსაჯმა რატომღაც არ ჩათვალა გოლი და ბელგიელი ფეხბურთელის მხრიდან წესის დარღვევა დააფიქსირა. ჩაუთვლელ გოლს ბრაზილიელებმა რამდენიმე სახიფათო შეტევით უპასუხეს, მაგრამ პირველი ტაიმი მაინც უგოლოდ დასრულდა. მეორე ტაიმის დასაწყისი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. 53-ე წუთზე ვილმოტს გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ მარკოსმა საწაულით იხსნა კარი. ერთი პერიოდი ბელგიელი ფეხბურთელების უპირატესობაც შეიმჩნეოდა, თუმცა [illegible] ასახული.

67-ე წუთზე რონალდინიომ [illegible] გადაცემა გაუკეთა რივალდოს, ამ უკანასკნელმა თანაგუნდელს გარჯა დაუფასა და გოლიც გაიტანა — 1-0.

ამის შემდეგ ბელგიელები გააქტიურდნენ, თუმცა ანგარიშის გათანაბრება ვერ მოახერხეს, პირიქით, მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე საკუთარ კარში გოლი მიიღეს: თავი რონალდომ გამოიჩინა. ბრაზილიის ნაკრებმა გაიმარჯვა 2-0 და გავიდა მეოთხედფინალში, სადაც მოწინააღმდეგე კიდევ ერთი [illegible] ინგლისის ნაკრები იქნება.











# ლამაზი დღესასწაული, რომელიც ოლიმპიურ ზეიმს არ ჩამოუვარდება

16 ივნისს მოსკოვში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დსთ-ს, ბალტიის ქვეყნებისა და რუსეთის რეგიონების ჭაბუკთა საერთაშორისო სპორტული თამაშები. გახსნის ცერემონიალზე, დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ.

პუტინმა აღნიშნა, რომ მოსკოვი მასპინძლობს 6 ათას სპორტსმენს დსთ-სა და ბალტიის ქვეყნებიდან „ეს ქვეყნები ადრე ერთ დიდ ქვეყანას წარმოადგენდნენ, თუმცა ცხოვრება წინ მიდის... ჩვენ მაინც უნდა ვიყოთ ერთად მეგობრობასა და სიყვარულში, ერთმანეთს პატივი უნდა ვცეთ..."



იური ლუჟკოვი (მარცხნივ) და ჟაკ როგი თამაშების გახსნის ცერემონიალზე

გახსნის ცერემონიალს სტადიონზე 80 ათასი მაყურებელი დაესწრო. მათ მართლაც რომ ლამაზი სანახაობა იხილეს, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა 1980 წლის ოლიმპიურ ზეიმს.

## ტოტალიზატორის მოყვარულებს

ტოტალიზატორის მოყვარულებს ვთავაზობთ ევროპულ ტოტალიზატორების ფსონთა კოეფიციენტებს მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალური ეტაპის დღევანდელი მატჩებისათვის.

| | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|
| იაპონია — თურქეთი | 2,25 | 3,00 | 3,10 |
| სამხ. კორეა — იტალია | 4,00 | 3,10, | 1,90 |

# დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ჭიდაობა ძიუდოში 2002 წლის ევროპის გუნდურ ჩემპიონატში მონაწილეობისას გამოვლენილი მაღალი მებრძოლი თვისებების, ვაჟკაცობისა და თავდადებისთვის, ნაყოფიერი საწვრთნელ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის საქართველოს ორდენებით და მედლებით დაჯილდოვდნენ და გამოეცხადათ მადლობა:

ღირსების ორდენით:
ზურაბ ზვიადაური – ევროპის ჩემპიონი, ოქროს მედალოსანი;
ანზორ მარგველანი – მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი;
ბიძინა მოხევიშვილი – მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი; ნესტორ ხერგიანი – ევროპის ჩემპიონი, ოქროს მედალოსანი;
ივერი ჯიქურაშვილი – ევროპის ჩემპიონი, ოქროს მედალოსანი.

ღირსების მედლით:
ალექსი დავითაშვილი – ევროპის ჩემპიონი, ოქროს მედალოსანი;
გურამ მოდებაძე – მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი;
დავით ქევხიშვილი – ევროპის ჩემპიონი, ოქროს მედალოსანი.

## გამოეცხადათ მადლობა

ბორის თადუმაძეს – ევროპის ჩემპიონს, ოქროს მედალოსანს;
ოთარ ნათელაშვილს მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს;
შოთა ხაბარელს – საქ. ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს; დილარ. ხაბულიანს – ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტს.

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

## მოქავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 2 თვე დარჩა

torino 2006

## ზამთრის მოქავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 8 თვე გაშორებს

## მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

# პირველი მედალი საქართველოს ცხენოსანმა მოუტანა

(პირველი გვერდიდან)

წარმოადგენს. სხვათა შორის, ქართველთა სარეკორდო გამარჯვება ყირგიზებთან მოსკოვის მერის მოადგილემ ვ. შანცევმა ბრიფინგზეც აღნიშნა. ამ მატჩის ხილვით აღფრთოვანებული დარჩენილა სოკ-ის პრეზიდენტი ჟაკ როგი. „ასეთი ვირტუოზული თამაში გამოცდილ ოსტატებსაც შეშურდებოდათო“, – უთქვამს. ჩვენს შეკითხვაზე, თუ როგორ მოხდა, რომ ამდენი ღონისძიებიდან ოლიმპიური მოძრაობის მესაჭემ მაინცდამაინც ამ მატჩზე მოისურვა დასწრება, შანცევმა გვიპასუხა: „ეს მან თავად გადაწყვიტა, ჩვენ მხოლოდ დღის პროგრამა შევთავაზეთო.“ თავის მხრივ შანცევმა ისიც დაამატა, რომ საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა კალათბურთის ბრწყინვალე ოსტატებით და ახლა ამ ტრადიციას აგრძელებს მართლაც უნიჭიერესი თაობა. პირველი ტურის ჯგუფში მოიგეს ვაჟმა ხელბურთელებმაც. რუსეთის დასავლეთის რეგიონის თანატოლებს მათ დამაჯერებლად სძლიეს 36:14. სასტარტო ტურში იოლ გამარჯვებას მიაღწია ჩვენმა ოთხივე მოჭადრაკემ.

წარუმატებლად დაიწყო ფეხბურთელებმა. მოსკოვში ჩასვლიდან მეორე დღესვე მათ შეხვედრა ჰქონდათ ლიტვის გუნდთან. კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდებს თავი არ დაუზოგავთ, მაგრამ გოლი მეტოქის კარში არა და არ გადიოდა. სამაგიეროდ, ეს ლიტველებმა მოახერხეს და ერთი გატანილი გოლით თავის სასარგებლოდ გადაწყვიტეს ამ მატჩის ბედი.

ჩვენმა ფეხბურთელებმა მეორე შეხვედრაში დიდი ანგარიშით მოუგეს ყაზახეთის ნაკრებს 6-1. ხსენებული გუნდების გარდა, ქვეჯგუფში გამოდის მოსკოვის ნაკრები. ფინალურ ეტაპზე გადის ორი საუკეთესო. ალბათ ყველაფერი გადაწყდება მოსკოვ-საქართველოს შეხვედრაში.

რამდენიმე სიტყვა თამაშების გახსნის ცერემონიალზე. საერთო შეფასებით ეს იყო უდიდესი და საოცრად შთამბეჭდავი ღონისძიება, როგორც სანახაობრივად, ისე შინაარსით. საერთოდ, თამაშები ტარდება უმაღლეს დონეზე, არაფრით ჩამოუვარდება ოლიმპიურ თამაშებს ორგანიზაციით. მაქსიმალურადაა დაცული უსაფრთხოება, ტარდება კულტურული ღონისძიებები. სასტუმრო „იზმაილოვოს“ კომპლექსი კი მთლიანად თამაშების მონაწილეებსა და სტუმრებს ეთმობა. გამართულად მუშაობს ტრანსპორტი.

რატომ გამოიდო თავი ასე რუსეთის დედაქალაქმა და რატომ გასწია ესოდენ სოლიდური ხარჯები ჭაბუკთა თამაშების ჩასატარებლად? არავინ მალავს, რომ მოსკოვს დიდი სურვილი აქვს უმასპინძლოს 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებს და მთელ მსოფლიოს, უპირველესად კი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს სურს დაანახვოს, რომ დღევანდელი რუსეთი, კერძოდ, მოსკოვი, ახლაც კი მზადაა უმასპინძლოს უდიდეს კომპლექსურ სპორტულ ასპარეზობას. ძალიან მნიშვნელოვანია ამ ფონზე სოკ-ის პრეზიდენტის ჟაკ როგის რეაქცია. მან განაცხადა, რომ: „მოსკოვი ღირსეული კანდიდატია, მაგრამ დიდია კონკურენცია“.

დავუბრუნდეთ თამაშებს. ბრწყინვალე სტარტი აიღეს მოჭადრაკეებმა. ძალიან სწრაფად მოიგეს პირველი ტურის შეხვედრები ლევან ფანცულაიამ, გაიოზ ნიგალიძემ, ნანა ძაგნიძემ და ბელა ხომენაშვილმა. ჩვენს ოთხეულს აქ ერთ-ერთ რეალურ ფავორიტად მიიჩნევენ.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ნორჩმა ფალავნებმა პირველ დღეს ერთის გარდა ყველა შეხვედრა მოიგეს. უკვე მერვედფინალში გავიდნენ ბათუმელი ბაკურ ბაკურაძე (69 კგ) და თბილისელი ვლადიმერ გეგეშიძე (85), ახლა ასპარეზობაში ჩაერთნენ გენადი გოგიშვილი (76), ლევან ზურაბიანი (63), ზურაბ ზავრაშვილი (54) და გივი მორჩილაძე (მძიმე).

### ფეხბურთი

## გაგა სეთურიძე საიმედო გოლკიპერია

დსთ-ს, ბალტიისა და რუსეთის რეგიონის ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გამართულ ხელბურთელთა ტურნირის მიმომხილველები უკვე ალაპარაკდნენ საქართველოს ნაკრების გოლკიპერ გაგა სეთურიძეზე, რომელმაც მისი კარის მიმართულებით განხორციელებული დარტყმებიდან 70 პროცენტი მოიგერია.

ორი დღის შედეგების მიხედვით, ხელბურთელთა საუკეთესო ბომბარდირი აზერბაიჯანელი რუფატ ჯაფაროვია, რომელმაც 27-ჯერ აიღო მეტოქეთა კარი.

ქალთა ტურნირში სნაიპერთა შორის რუსი ქსენია ნიკანდოროვა ლიდერობს, რომლის ანგარიშზე 28 გატანილი გოლია.

### მაგიდის ჩოგბურთი

## ყველა მატჩი წააგეს

წარუმატებელი სტარტი აიღეს ქართველმა მაგიდის ჩოგბურთელებმა, რომლებიც დსთ-ს, ბალტიის ქვეყნებისა და რუსეთის რეგიონების ჭაბუკთა თამაშების პროგრამით მიმდინარე სპორტის ამ სახეობაში შეჯიბრებაში გამოდიან მეორე ჯგუფში. პირველ შეხვედრაში ქართველები ჯერ ბელარუსის ნაკრებთან დამარცხდნენ — 0-3, შემდეგ ასეთივე ანგარიშით წააგეს ურალისა და სომხეთის გუნდებთან.

## გაზეთის დაბეჭდვის წინ

დსთ-ს, ბალტიის ქვეყნებისა და რუსეთის რეგიონების ჭაბუკთა თამაშებზე 14 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა ტურნირში ორი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით დაწინაურდა ბელა სოტენაშვილი, ელენა ტაიროვა და ვალენტინა გუნინა. 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა შეჯიბრებაში 2 მოსაძლებლობიდან 2 ქულა აქვს ნანა ძაგნიძეს.



## ბავშვთა დაცვის დღეს მიეძღვნა

ბავშვთა დაცვის დღეს მიეძღვნა თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ტანვარჯიშის სახეობათა ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის ღია პირველობა ბატუტზე ხტომებში.

გთავაზობთ შეჯიბრების ტექნიკურ შედეგებს: *ინდივიდუალური ხტომები.*

***სპორტის ოსტატობის პროგრამით. ვაჟები:*** 1. თენგიზ კოშკაძე, 2. ოლეგ კოლოსოვი, 3. გიორგი მარქარიანი; *გოგონები:* 1. ლუბა გოლოვინა, 2. ნანა ლუკაშვილი, 3. ელა აირაპეტოვა.

***მოზარდთა I თანრიგი. ვაჟები:*** 1. არტაკ გალოიანი, 2. ნიკა ნოზაძე, 3. ანდრეი ლაპკინი; *ჭაბუკთა და გოგონათა I თანრიგი. ვაჟები:* 1. გიორგი ბოლოთაშვილი, 2. გურამ კირვალიძე, 3. გიორგი ვეშაპიძე; *გოგონები:* 1. ლია სამხარაძე, 2. ივეტა აკოპოვა, 3. სოფია მანუკიანი.

*ჭაბუკთა და გოგონათა II თანრიგი. ვაჟები:* 1. დიმიტრი ილიანი, 2. ვლადიმერ წიკლაური, 3. ირაკლი ინაშვილი; *გოგონები:* 1. ნინო ჯანაშია, 2. ჯული ოქრომჭედლიშვილი, 3. ნინო კუპატაძე.

*ჭაბუკთა და გოგონათა III თანრიგი. ვაჟები:* 1. როსტომ კალოევი, 2. კობა ირემაშვილი, 3. ლუკა სოზიშვილი; *გოგონები:* 1. ზალიხა კალოევა, 2. თეონა გაბეცაძე, 3. ნინო უგულავა.

*სკოლამდელი ასაკი. ვაჟები:* 1. ლევან ჩიქოვანი, 2. ირაკლი ბაინდურაშვილი, 3. გიგო სხირტლაძე; *გოგონები:* 1. ვიქტორია კულიკი; 2. ნინო იორდამოვა, 3. ნათია თვალიშვილი. **სინქრონული ხტომები.** ***ვაჟები:*** 1. თენგიზ კოშკაძე, ოლეგ კოლოსოვი, 2. კახა ნეფარიძე, გაბრო ცხოვრებაშვილი, 3. მიშა სხირტლაძე, მიშა ფეიქრიშვილი. ***გოგონები:*** 1. ელა აირაპეტოვა, ვეროკა ბეგლარიშვილი, 2. თეონა მოდებაძე, მაგდა ლიქოკელი, 3. ლუბა გოლოვინა, ნანა ლუკაშვილი.

*ფოტოები რობერტ ბაგოიანისა.*



*სკოლის ღია პირველობის პრიზიორი სკოლამდელ ასაკში ჯეისონ დანი (აშშ)*





# „თელეთობა-2002“

თელეთობის (ამაღლების) ტრადიციული ქართული ჭიდაობის შეჯიბრებაში, რომელიც სოფელ თელეთის კულტურის სასახლის ეზოში გაიმართა, წონითი კატეგორიების მიხედვით „თელეთობა-2002“-ის გამარჯვებულები გახდნენ: ცოტნე ივანიშვილი (თელეთი), გიორგი ბასილაშვილი (ვარკეთილი), ვაჟა ლალიაშვილი (თელეთი), ნუგზარ ქიტიაშვილი (რუსთავი), შალვა ელიზბარაშვილი, თამაზ ლალიაშვილი (ორივე — თელეთი), ემზარ ქიტიაშვილი, ვასილ ბერუაშვილი, ჯემალ გელაშვილი, ლაშა ბერიძე (ყველა — რუსთავი), შოთა თურმანიძე (თელეთი). აბსოლუტური პირველობა მოიგო გიორგი შუბითიძემ (რუსთავი).

*სურათებზე: ზევით მარცხნივ (სხედან მარცხნიდან) — შალვა ელიზბარაშვილი, ვაჟა ლალიაშვილი, გიორგი ბასილაშვილი, ნუგზარ ქიტიაშვილი; დგანან: ემზარ ქიტიაშვილი, ჯემალ გელაშვილი, ლაშა ბერიძე, გიორგი შუბითიძე, შოთა თურმანიძე და ვასილ ბერუაშვილი. ზევით მარჯვნივ — ასპარეზობის ერთ-ერთი მომენტი*



*აბსოლუტური პირველობის გამარჯვებული გიორგი შუბითიძე*

## მილოცვა

ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური, ამავე დაქვემდებარების ტანვარჯიშულ სახეობათა ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლა და მისი დირექტორი როზა ბერიკაშვილი საიუბილეო თარიღს ულოცავს ამავე სკოლის მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ღირსების მედლის კავალერს ვალენტინა კლიმოვას და უსურვებს ჯანმრთელობას და მრავალი ღირსშესანიშნავი სპორტსმენის აღზრდას.

გამოიწერეთ
2002 წლის
II ნახევრისთვის

## ცნობები აჭარიდან

# ბათუმმა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა

ბათუმის „დინამოს“ სტადიონზე ხუთ დღეს გრძელდებოდა საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში (1989-1990 წლებში დაბადებულთათვის), რომელშიც თბილისსა და ბათუმის „დინამოს“ ორ-ორი გუნდი, ზუგდიდის „2001“, „ოდიში“, იტალიის „რეჯონემარკე“, სოხუმის „დინამო“, რუსთავის „ვოიჯინი“, ბათუმის საფეხბურთო სკოლისა და ბათუმის „ლუკას“ ტყავის ბურთის მომავალი ოსტატები მონაწილეობდნენ — სულ 10 გუნდი.

უაღრესად დაძაბულად წარიმართა წინასწარი შეხვედრები, რის შემდეგ გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები. პირველ ნახევარფინალში ბათუმის „დინამო 1“-ის გუნდმა დიდი ანგარიშით (6-3) სძლია თბილისელ თანაკლუბელებს, ხოლო ბათუმის საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელებმა მშრალი ანგარიშით (2-0) მოუგეს ზუგდიდელ თანატოლებს.

ტურნირის ბოლო დღეს გაიმართა ფინალური შეხვედრები. პირველად მოედანზე საასპარეზოდ მესამე საპრიზო ადგილისათვის მოასპარეზე გუნდები — თბილისის „დინამო 1“ და ზუგდიდის „ოდიში“ გამოვიდნენ. თამაში თავიდანვე თბილისელთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით — 7-1.

და აი, ფინალში — ბათუმის ორი გუნდი — „დინამო 1“ და საფეხბურთო სკოლა წარსდგნენ ერთმანეთის პირისპირ.

დასაწყისში ტერიტორიული უპირატესობა „დინამოელმა“ ყმაწვილებმა მოიპოვეს, პირველი ნახევრის მიწურულში გიორგი ბერიძემ თავური დარტყმით გახსნა კიდეც ანგარიში.

შესვენების შემდეგ ელიზბარ ბერიძემ აღადგინა წონასწორობა — 1-1, შემდეგ დინამოელებმა ზედიზედ სამჯერ აიღეს მეტოქის კარი. ორჯერ ლაშა სიხარულიძემ და ალეკო ბაციკაძემ.

ამრიგად, ანგარიშით — 4-1 გაიმარჯვა „დინამო 1“ გუნდმა და პირველი ადგილი მოიპოვა (მწვრთნელი ავთო კუნჭულია).

ტურნირზე დაწესებული იყო პრიზები. საუკეთესო მეკარის პრიზი ერგო ავთო იოსელიანს (თბილისის „დინამო 1“). მცველისა — თემურ ჩაზმავას (ბათუმის „დინამო“ 1), ნახევარმცველისა — გიორგი ირემაძეს (ბათუმის საფეხბურთო სკოლა), თავდამსხმელისა — ლევან წურწუმიას (ზუგდიდის „ოდიში“), ბომბარდირის — ზურა ძაგანიას (13 გატანილი გოლისათვის, თბილისის „დინამო 1“), ხოლო ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი — იტალიელ ჯიკომო მარილუნგოს.

# ანზორ კვაჭაძის მემორიალი

ბათუმში, დიდი ინტერესი გამოიწვია წარსულში ცნობილი გოლკიპერის, სპორტის ოსტატის ანზორ კვაჭაძის ხსოვნისადმი მიძღვნილმა ბავშვთა ტურნირმა მინიფეხბურთში (1991-1992 წლებში დაბადებულთათვის), მასში შვიდი გუნდი — ბათუმის საფეხბურთო სკოლის, ქობულეთის „შუქურა, თბილისის, სოხუმისა და ბათუმის ნორჩი დინამოელები, აგრეთვე იტალიის „რეჯონემარკე“ და ადგილობრივი „ლუკას“ მომავალი ტყავის ბურთის ოსტატები გაეჯიბრნენ ერთმანეთს.

მწვავე, დაძაბული სპორტული ბრძოლების შემდეგ, ორმა გუნდმა — ბათუმის საფეხბურთო სკოლისა და ბათუმის „ლუკას“ ნორჩმა ფეხბურთელებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა 16-16 მოაგროვეს, ბურთების უკეთესი სხვაობით პირველი ადგილი „ლუკას“ ბიჭუნებმა (მწვრთნელი ელდარ კუპრაძე) მოიპოვეს, მეორეზეა — საფეხბურთო სკოლის მოსწავლეები (მწვრთნელი გია ჯორბენაძე), ხოლო მესამეზე — ბათუმის „ნორჩი დინამოელი“ (მწვრთნელი ტარიელ ქიშმარია).

საუკეთესო მოთამაშეებს გადაეცათ სპეციალური პრიზები, მეკარის — გიორგი შერვაშიძეს („ლუკა“), მცველის — გიორგი ბერიძეს (საფეხბურთო სკოლა), ნახევარმცველის — მერაბ მამულაძეს (ბათუმის „ნორჩი დინამოელი“), თავდამსხმელის — ირაკლი რუხაიას („შუქურა“), ბომბარდირის — ნიკა ნასუაშვილს (11 გოლი), საუკეთესო ფეხბურთელის — კახა თოდაძეს (ორივე — ბათუმის „ნორჩი დინამოელი“), ტექნიკური მოთამაშის — ირაკლი ჩხაიძეს (საფეხბურთო სკოლა).

გამარჯვებულ „ლუკას“ გუნდს გადაეცა ბროლის თასი და პირველი ხარისხის სიგელები.

გამარჯვებული გუნდის მწვრთნელმა ელდარ კუპრაძემ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში თქვა: „ჩემი აღსაზრდელების გამოსვლით კმაყოფილი ვარ, მახარებს მათი შემართება, ყველამ კარგად ითამაშა. პირველად მივიღეთ მონაწილეობა ასეთ ტურნირში და წარმატებითაც გაართვეს თავი. მომავალ ტურნირებს, შევეცდებით, კიდევ მობილიზებული შევხვდეთ, რათა ახალი გამარჯვებებით გავახაროთ ქართული ფეხბურთის გულშემატკივრები“.

მასალები მოგვაწოდა
ოთარ მურვანიძემ,
გაზეთ „ლელოს“ საკუთარმა
კორესპონდენტმა აჭარაში.

## დიდ ფეხბურთზე ოცნებობს...



მიხეილ ვდოვიჩენკო (სურათზე) საფეხბურთო კლუბ „იბერიას“ ერთ-ერთი პერსპექტიული ფეხბურთელია 1986 წელს დაბადებულთა შორის. მას დიდი წვლილი შეაქვს კლუბის წარმატებებში. სულ ახლახან ქრისტიანულ-კონსერვატიულმა პარტიამ ჩაატარა ტურნირი 1986 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა შორის, სადაც გაიმარჯვა საფეხბურთო კლუბმა „იბერიამ“. აღსანიშნავია მიხეილის დიდი დამსახურება ამ გამარჯვებაში.

მიხეილ ვდოვიჩენკო ეროვნებით უკრაინელია. იგი დიდი მონდომებით ვარჯიშობს და ყოველდღიურად იმაღლებს ფიზიკური და ტექნიკური მომზადების დონეს მწვრთნელ გურამ ხეცურიანის ხელმძღვანელობით. მიხეილის ოცნებაა ითამაშოს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში.

ვუსურვოთ ამ ახალგაზრდა ფეხბურთელს თავისი ოცნების განხორციელება.

ფოტო რობერტ ბაგოიანისა.

# ბავშვთა ფეხბურთი



192-ე საშუალო სკოლის გუნდი

# პრეზიდენტის თასზე

გაეროს ბავშვთა ფონდისა და ი. ნონეშვილის სახელობის საერთაშორისო ბავშვთა ფონდის (პრეზიდენტი სტეფანე ასათიანი) ერთობლივი მემორანდუმის საფუძველზე, ქვეყნის პრეზიდენტის მხარდაჭერით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად შემუშავდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს 2001-2005 წლებში ბავშვთა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას. ამ პროექტის პროგრამით, ყოველწლიურად ტარდება საფეხბურთო ტურნირები პრეზიდენტის თასზე. შარშანდელ ტურნირში 4700-მა ბავშვმა იასპარეზა. მონაწილეთა სიმრავლით, არც წლევანდელი შეჯიბრება ჩამორჩებოდა.



პრიზს გადასცემს ედიშერ მაჩაიძე

ტურნირის ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ ვაკე-საბურთალოს რაიონის 192-ე საშუალო სკოლისა და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის გუნდები (დირექტორი ამოტ თემუროვი, მწვრთნელი ირაკლი მეტეშაშვილი). დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 3-2 გაიმარჯვა 192-ე საშუალო სკოლის გუნდმა (დირექტორი — ლონდა მებურიშვილი, მწვრთნელები: ა. არუთინოვი, ხ. გულბათაშვილი. სპორტსკოლის დირექტორი — ბ. მაჩაბლიშვილი), რომელიც დაეუფლა საპატიო პრიზს. მესამე ადგილი დაიკავა გლდანი-ნაძალადევის პირველი საღამოს სკოლის გუნდმა (დირექტორი: გულიკო გერსონია, მწვრთნელი შუქრი ჰუმბურიძე).



ფოტოები რობერტ ბაგოიანისა

შეჯიბრებაში დაწესებული იყო პრიზები სხვადასხვა ნომინაციაში, რომელშიც გამარჯვებული ფეხბურთელები დააჯილდოვა ი. ნონეშვილის სახელობის საერთაშორისო ბავშვთა ფონდის პრეზიდენტმა ს. ასათიანმა და განათლების განყოფილების უფროსმა ე. მაჩაიძემ. და ბოლოს, იმასაც გეტყვით, რომ ტურნირში გამარჯვებული სხვა რეგიონებში გამარჯვებულ გუნდებთან ერთად მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში იასპარეზებს საქართველოს პირველობაზე.

# იამანიძის ხსოვნის ტურნირი



სურათზე:
I რიგში მარცხნიდან: ა. ტყეშელაშვილი, თ. ეგრისელაშვილი, ვ. არევაძე, ბ. ქანდაურაშვილი, გ. გუგავა, თ. ფურცელაძე, დ. მაყაშვილი, ბ. ბალავაძე, ლ. ჯაფარიძე, ვ. სვანიძე.
II რიგში მარცხნიდან: ლ. გოგავა, ი. დავითაია, გ. ვასილიევი, თ. ჩხიკვაძე, ა. ბახუა, ბ. ხუნდაძე.
III რიგში: თ. მელაძე, გ. გოგლიძე, ნ. ფარცხალაძე, ა. ბაგჩაშვილი, გ. მარკარაშვილი, დ. ჰქლიძე, გ. მამნიაშვილი. მეორე რიგში მარცხნივ — მწვრთნელი ავთო ქანთარია.

მიმდინარე წლის 5-16 ივნისს საფეხბურთო კლუბ „გეორგიას“ მოედანზე ჩატარდა ქართული ფეხბურთის ლეგენდის, საბჭოთა კავშირის 1964 წლის ჩემპიონის, თბილისის „დინამოს“ კაპიტნის, საზოგადო მოღვაწის შოთა იამანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველი საფეხბურთო ტურნირი 1988/89 წ.წ. დაბადებულ ჭაბუკებს შორის.

შეჯიბრებაში მონაწილე 16 გუნდი 2 ჯგუფში იყო განაწილებული. ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასულმა გუნდებმა შექმნეს ფინალური ჯგუფი.

პირველ ნახევარფინალში „მერანმა“ (მწვრთნელი ზ. ნადარეიშვილი) დიდი ანგარიშით 4-0 დაამარცხა „თბილისი-2000“ (მწვრთნელები თ. მონასერიძე და სეირან პოზოიანი). მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში „დინამომ“ (მწვრთნელი ა. ქანთარია) 3-0 სძლია „მთვარის გლობუსს“ (მწვრთნელი გია მაისურაძე).

მესამე ადგილისათვის მატჩში „თბილისი 2000“-მა დაამარცხა „მთვარის გლობუსი“ — 3-2, ხოლო ტურნირის ფინალში „დინამომ“ მოუგო „მერანს“ — 3-1 და მთავარ პრიზს დაეუფლა.

### ტურნირზე დაწესებული იყო წამახალისებელი პრიზები

**საუკეთესო მეკარე** — გიორგი ვასილიევი (დინამო)
**საუკეთესო მცველი** — ალექსანდრე ოგანეზოვი (თბილისი 2000)
**საუკეთესო ნახევარმცველი** — ლაშა მელაძე (მთ. გლობუსი)
**თავდამსხმელი** — ირაკლი დავითაია (დინამო)
**ტურნირის საუკეთესო მოთამაშე** — ბაკურ ხუროძე (მერანი)
**ფინალის საუკეთესო მოთამაშე** — დიმიტრი მაყაშვილი (დინამო)
**პერსპექტიული მოთამაშე** — გურამ გურეშიძე (თბილისი 2000)

ფოტოები რობერტ ბაგოიანისა






# რეგიონული ლიგა

**აღმოსავლეთის ზონა**
**XXXVIII ტური**

ვიტ ჯორჯია 2 – მაუდი 1-3
ზოოვეტი – ლიახვი 3-0
ოლიმპიკი – მერანი 3 3-0
გორდა2 – კრწანისი 5-3
იველია – მცხეთა 2-2
ალაზანი – ჭაბუკიანი 7-4
აკადემია – ცხუმი 1-7
თბილისი – დინამო 3 0-3
მესხეთი – ჯავახი 3-0

*გადატანილი მატჩი*
ოლიმპიკი – ლიახვი 3-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცხეთა | 36 | 26 | 7 | 3 | 77-17 | 85 |
| იველია | 36 | 26 | 3 | 7 | 99-45 | 81 |
| მაუდი | 36 | 25 | 5 | 6 | 63-32 | 80 |
| ალაზანი | 36 | 25 | 4 | 7 | 93-35 | 79 |
| ზოოვეტი | 36 | 23 | 2 | 11 | 69-38 | 71 |
| ჭაბუკიანი | 36 | 19 | 9 | 8 | 69-39 | 66 |
| ცხუმი | 36 | 20 | 5 | 11 | 73-31 | 65 |
| მესხეთი | 36 | 20 | 2 | 14 | 55-46 | 62 |
| ვიტ ჯორ.2 | 36 | 18 | 7 | 11 | 74-40 | 61 |
| ოლიმპიკი | 36 | 18 | 6 | 12 | 70-44 | 60 |
| დინამო3 | 36 | 14 | 8 | 14 | 55-46 | 50 |
| აკადემია | 36 | 13 | 8 | 15 | 49-58 | 47 |
| ლიახვი | 36 | 12 | 3 | 21 | 44-71 | 39 |
| გორდა2 | 36 | 10 | 9 | 17 | 53-58 | 39 |
| კრწანისი | 36 | 10 | 4 | 22 | 50-76 | 34 |
| თბილისი | 36 | 5 | 6 | 25 | 37-104 | 21 |
| მერანი3 | 36 | 5 | 4 | 27 | 24-94 | 19 |
| მრეტები | 36 | 3 | 6 | 27 | 30-82 | 15 |
| ჯავახი | 36 | 0 | 1 | 35 | 17-147 | 1 |

„მცხეთა" პირველ ლიგაშია. მეორე ადგილოსანი ხაშურის „იველია" და დასავლეთის ზონაში მეორე ადგილზე გასული გუნდი 23 ივნისს, გადასახვლელ მატჩში ერთმანეთს პირველი ლიგის საგზურს შეეცილებიან.

დასავლეთის ზონაში ბოლო ტურის შემდეგ ორმა გუნდმა ოზურგეთის „მერცხალმა" და ვანის „სულორმა" თანაბარი 94-94 ქულა დააგროვეს. რეგლამენტით ზონის გამარჯვებულის გამოსავლენად 19 ივნისს ფოთში ჩატარდება დამატებითი მატჩი.

18 ივნისს, 12 საათზე თბილისის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის ოფისში (საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ძველი შენობა, იამანიძის 5-ში) თბილისის მოყვარულ ფეხბურთელთა რეგიონული გუნდის წარმომადგენლები ჟურნალისტებს პრესკონფერენციაზე იწვევენ. საუბარი ტურნირისთვის გუნდის მზადებას და პერსპექტივებს შეეხება.

ქართული ფეხბურთის ვეტერანები, თანაგუნდელები საიუბილეო 70 წლისთავს ულოცავენ თბილისის „დინამოს" ვეტერან ფეხბურთელს გივი ხოჯოლავას, უსურვებენ ხანგრძლივ სიცოცხლეს და პირად ბედნიერებას.

გივი ხოჭოლავა 1955-1962 წლებში იცავდა თბილისის „დინამოს" ღირსებას, უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 154 მატჩი, 1959 წელს დაეუფლა ბრინჯაოს მედლებს, არის თასის ფინალისტი (1960 წ.).

## ფიქრის გორაზე დავით ყიფიანის მემორიალური ბარელიეფი გაიხსნება



18 ივნისს ლეგენდარული ფეხბურთელის დაბადების დღეს, 17 საათზე ფიქრის გორაზე შიო მღვიმელის ქუჩაზე გაიხსნება დავით ყიფიანის ბარელიეფი.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს თბილისის „დინამოს" ვეტერან ფეხბურთელს ს.კ. „ოლიმპიკის" პრეზიდენტს კარლო მჭედლიძეს მამის ალექსანდრე მჭედლიძის გარდაცვალების გამო.





მექსიკა – აშშ

# აშშ-ს ნაკრები მეოთხედფინალში გავიდა

**მატჩი №53. კორეა. ჩონჯუ. 17 ივნისი. მერვედფინალური მატჩი.**
**მექსიკა – აშშ 0-2 (0-1)**

*მექსიკა:* პერესი, მარკესი, ტორადო (გარსია ასპე), ბორგეტი, ბლანკო, ლუნა, ვიდრიო (მერკადო), მორალესი (ერნანდესი), კარმონა, ი. როდრიგესი, არელანო.
*აშშ:* ფრიდელი, ბერჰალტერი, ო'ბრაიენი, ლიუისი, ვოლფი (სტიუარტი), რეინა მაკბრაიდი (ჯონსი), მასტროენი (ლიამოსო), დონოვანი, სანე, პოუპი.
*გააფრთხილეს:* ვიდრიო, ერნანდესი, ბლანკო, გარსია, ასპე, კარმონა, პოუპი, მასტროენი, ვოლფი, ბერჰალტერი, ფრიდელი.
*გააძევეს:* მარკესი.
*გოლები:* 0-1 მაკბრაიდი (8), დონოვანი (66).
*მსაჯი:* ვიტორ მელუ ფერეირა (პორტუგალია).

მეზობლების შეხვედრა მუდამ დიდ ინტერესს იწვევს, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში. ამ მსოფლიო ჩემპიონატზე ამერიკელმა ფეხბურთელებმა დამაჯერებლად ჩაატარეს ჯგუფური ტურნირი და საკმაოდ ორგანიზებული სტაბილური გუნდის იმიჯი მოიპოვეს. და მაინც, სპეციალისტები უპირატესობას მექსიკის ნაკრებს ანიჭებდნენ. მექსიკელმა ფეხბურთელებმა მერვედფინალური მატჩი აქტიურად დაიწყეს და ამერიკელები ლამის საკუთარ კარს მიაჯაჭვეს. პირველ წუთებში ეს უკანასკნელნი მხოლოდ ბურთის მოგერიებით კმაყოფილდებოდნენ. მერვე წუთზე აშშ-ს ნაკრებმა პირველი კონტრშეტევა გოლით დაასრულა! — რეინას გადაცემის შემდეგ მაკბრაიდმა ზუსტად დაარტყა კარში და გულგრილებულ მექსიკელებს ცივი წყალი „გადაასხა". გაშვებულმა გოლმა უარყოფითი გავლენა იქონია მექსიკის ნაკრების თამაშზე.

ბურთი ძირითადად ცენტრში ტრიალებდა, ორივე გუნდის შეტევები საჯარიმო მოედნის მისადგომებთან წყდებოდა. სამაგიეროდ, თვალში საცემი იყო მოთამაშეთა უხეშობა. პირველი ტაიმი ისე დასრულდა, რეალური საგოლე მომენტი არ შექმნილა, მიუხედავად იმისა, რომ მექსიკელთა ტერიტორიული უპირატესობა მაინც იგრძნობოდა. მათ მიერ ბურთის ფლობის მაჩვენებელმა 69 პროცენტს (!) მიაღწია.

მეორე ნახევარი კვლავ მექსიკელთა



მექსიკა – აშშ

შეტევებით დაიწყო. მა... რამდენჯერმე ...ხიფათიანი ...საპარფმოები. ლუნამ ორჯერ მეორე მანძილიდან ააცილა ბურთი კარს.

შეტევაში გართული მექსიკელების ...დველობიდან გამორჩაა ამერიკელთა სახიფათო კონტრშეტევა, რომელიც დონოვანმა გოლით დაასრულა 0-2. ამან კი გაამწარა მექსიკის ნაკრების მოთამაშეები. ისინი მთელი გუნდით გადავიდნენ შეტევაზე, თუმცა დარჩენილ დროში გოლის გატანა მაინც ვერ მოახერხეს. ის კი არა, 89-ე წუთზე ისინი ათნი დარჩნენ მინდორზე: მარკესს ნერვებმა უმტყუნა და მსაჯმაც წითელი ბარათი უჩვენა. ბოლო წუთზე ამერიკელებს კიდევ ერთი გოლის გატანა შეეძლოთ, დონოვანმა ცარიელ კარს ააცილა ბურთი. აშშ-ს ნაკრებმა გაიმარჯვა ანგარიშით 2-0 და მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა.

# ჩემპიონატის სტატისტიკა



**მატჩი №45. ოსაკა. იაპონია. III ტური. H ჯგუფი**
**ტუნისი – იაპონია 0-2**
*ტუნისი:* ბუმნიჯელი, ტრაბელსი, ბადრა, ბუზაიანი (ზიტუნი 79), ჯაიდი, ბუაზიზი, გოდბენე, მელკი (ბეია 46), ბენ აშური, კლეიტონი (მჰეჯები 61), ჯაზირი.
*იაპონია:* ნარაზაკი, მაცუდა, მიამოტო, კ. ნაკატა, ტოდა, ინამოტო (იჩიკავა 46), მიოინი, ჰ. ნაკატა (ოგასავარა 84), ონო, სუზუკი, იანაგისავა (მორიშიმა 46).
*გოლები:* 0-1 მორიშიმა (48), 0-2 ჰ. ნაკატა (75).
*გააფრთხილეს:* ჯელასი (ტუნისის სათადარიგოთა სკამი), ბადრა.
*მსაჯი:* ჟილ ვესიე (საფრანგეთი).

**მატჩი №46. შიზუოკა. იაპონია. III ტური. H ჯგუფი**
**ბელგია – რუსეთი 3-2**
*ბელგია:* დე ფლიგერი, პეეტერსი, დე ბოეკი (ვან მეირი 90), ვან ბუიტენი, ვან კერკჰოვენი, ვალემი, ვერჰეიენი (სიმონსი 79), ვანდერეგე, გოორი, მპენზა (სონკი 70), ვილმოტსი.
*რუსეთი:* ნიგმატულინი, კოვტუნი, ონოპკო, სოლომატინი, ნიკიფოროვი (სენიკოვი 42), სმერტინი (სიჩოვი 34), კარპინი (კერჟაკოვი 84), ტიტოვი, ალენიჩევი, ხოხლოვი, ბესჩასტნიხი.
*გოლები:* 1-0 ვალემი (7), 1-1 ბესჩასტნიხი (52), 2-1 სონკი (78), 3-1 ვილმოტსი (82), 3-2 სიჩოვი (88).
*გააფრთხილეს:* სოლომატინი, სმერტინი, ვანდერეგე, ალენიჩევი, სენიკოვი.
*მსაჯი:* კ. ნილსენი (დანია).

**მატჩი №47. ინჩეონი. კორეა. III ტური. D ჯგუფი.**
**პორტუგალია – სამხ. კორეა 0-1**
*პორტუგალია:* ბაია, სევერუ, ფ. კოუტუ, ჟ. კოშტა, რ. ჟორჟე (შავიერი 73), ა. პეტი (ნ. გომეში 77), ბენტუ, ფიგუ, ჟ. პინტუ, კონსეისაუ, პაულეტა (ანდრადე 69).
*ს. კორეა:* ვ. ლი, ჩ. სონგი, ტ. კიმი, ჯ. ჩოი, მ. ჰონგი, ნ. კიმი, იოო, ი. ლი, ანი (ჩ. ლი 90), პარკი, სეოლი.
*გოლი:* 0-1 პარკი (70).
*გააფრთხილეს:* სევერუ, ტ. კიმი, სეოლი, ნ. კიმი, ჟ. კოშტა, ანი.
*გააძევეს:* ჟ. პინტუ, სევერუ.
*მსაჯი:* ანხელ სანჩესი (არგენტინა).

**მატჩი №48. დეჟუენი. კორეა. III ტური. D ჯგუფი.**
**პოლონეთი – აშშ 3-1**
*პოლონეთი:* მაიდანი, გლოვაცკი, ზელინსკი, კლოსი (ვალდოხი 89), მურავსკი, კოზმინსკი, კუხარსკი (მარჩინ ჟევლაკოვი 14), კრჟინოვეკი, ოლისადებე (სიბიკი 86), კრიშალოვიჩი, ჟურავსკი.
*აშშ:* ფრიდელი, პოუპი, სანე, აგოსი (ბესლი 36), ჰეიდუკი, ობრაიენი, დონოვანი, რეინა, სტიუარტი (ჯოუნსი 68), მაკბრაიდი (მური 58), მეტისი.
*გოლები:* 1-0 ოლისადებე (3), 2-0 კრიშალოვიჩი (5), 3-0 ჟევლაკოვი (66), 3-1 დონოვანი (83).
ჟურავსკიმ ვერ გაიტანა პენალტი (75).
*გააფრთხილეს:* მაიდანი, კოზმინსკი, კუხარსკი, ჰეიდუკი, ოლისადებე.
*მსაჯი:* იუნ ლუ (ჩინეთი).

ჯგუფურ ტურნირში ჩატარდა 48 მატჩი, გავიდა 130 გოლი (საშუალოდ 2,71 მატჩში). ყველაზე სწრაფი გოლი გაიტანა ოლისადებემ (პოლონეთი). უგოლოდ დასრულდა ორი მატჩი. ყველაზე დიდი ანგარიში (გერმანია — საუდეთი 8-0);

**ბომბარდირი:**
**კლოზე (გერმანია) — 5.**

**D ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ს. კორეა | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| აშშ | 3 | 1 | 1 | 1 | 5-6 | 4 |
| პორტუგ. | 3 | 1 | 0 | 2 | 6-4 | 3 |
| პოლონეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-7 | 3 |

**H ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| იაპონია | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| ბელგია | 3 | 1 | 2 | 0 | 6-5 | 5 |
| რუსეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 3 |
| ტუნისი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |

**მატჩი №49. სეოგვიპო. კორეა, 15 ივნისი. 1/8 ფინალი**
**გერმანია – პარაგვაი 1-0**
*გერმანია:* კანი, ლინკე, რემერი (კელი 46), მეცელდერი (ბაუმანი 65), ბალაკი, შნაიდერი, იერემისი, ფრინგსი, ბოდე, ნოივილი (ასამოა 90), კლოზე.
*პარაგვაი:* ჩილავერტი, არსე, გამარა, აიალა, სტრუვეი (კუევასი 89), აკუნია, კარდოზო, ბონეტი (გავილანი 82), კასერესი, კანისა, რ. სანტა კრუზი (კამპოსი 30).
*გოლი:* 1-0 ნოივილი (88)
*გააფრთხილეს:* შნაიდერი, ბალაკი, ბაუმანი, კარდოზო, აკუნია.
*გააძევეს:* აკუნია.
*მსაჯი:* კარლოს ბატერესი (გვატემალა).

## მეკარეთა დუელი არ შედგა

მსოფლიო ჩემპიონატის პირველი მერვედფინალური მატჩი ისე მშვიდად და დუნედ დაიწყო, გეგონებოდათ, გერმანელებიც და პარაგვაელებიც ამხანაგურად ბურთის გასაგორებლად გამოვიდნენ მინდორზე. თუმცა ამგვარ სიფრთხილეს გამართლებაც მოეძებნება რისკის გაწევას, არც ერთი ჩქარობდა. პირველ ტაიმში, რომელიც ერთობ უინტერესოდ წარიმართა, დასამახსოვრებელი მხოლოდ კამპოსის ძლიერი დარტყმა და კანის ჩინებული ნახტომი იყო. მცირე ტერიტორიული უპირატესობა ევროპელებს ჰქონდათ, მაგრამ ჩილავერტის კართან სახიფათო ვერაფერი შექმნეს. ინტრიგის მოყვარულმა მაყურებელმა, თამაში ისე დასრულდა, გუნდების კაპიტნების ჩილავერტისა და კანის უშუალო პაექრობა ვერ იხილა. გერმანელებს, არც დასტყობიათ სამი დისკვალიფიცირებული ფეხბურთელის არყოფნა. ფიოლერის შეგირდები, თითქოს არც ცდილობდნენ თამაშის გამწვავებას, თუმცა მეორე ტაიმი გაცილებით მაღალ ტემპში დაიწყეს და პარაგვაელთა დაცვას და მეკარეს სამუშაოც მისცეს. შედარებით გამოცოცხლებულ მატჩში სახიფათო ეპიზოდებმაც იმატა. გოლის გატანას შეეცადნენ ნოივილი, კლოზე, შნაიდერი, ფრინგსმა კი სულაც, აშკარა საგოლე მომენტი გააცუდა, პარაგვაელთა, თითქმის დაუცველ კარს ახლოდან დარტყმული ბურთი ააცილა. ამ შეტევებს ჩეზარე მალდინის დამოძღვრილმა სამხრეთამერიკელებმა, ჩილავერტის, ერთი შეხედვით, სახიფათო ჯარიმით უპასუხეს, თუმცა, მოლოდინი არ გამართლდა. სამხრეთელთა კაპიტანმა ჩრდილოელი კოლეგა ვერ შეაშინა, მისი საჯარიმო დარტყმა უზუსტო გამოდგა, მატჩიც ჩვეულ რიტმში გაგრძელდა, როდესაც, თითქმის ყველა დამატებითი დროისათვის ემზადებოდა, გერმანელებმა გოლის გატანა მოახერხეს და მეოთხედფინალში პირველები გავიდნენ. შნაიდერის ზუსტი ფლანგური პასი ნოივილმა შეირგო და თავმომწონე ჩილავერტი და კომპანია შინ გაუშვა. მოსაწყენ მატჩში, გამარჯვებული ძირითად დროში გამოვლინდა და დამატებითი წვალება და ჯახირი არც მოასპარეზეთ, არც მაყურებლებს აღარ დასჭირდათ. მეოთხედფინალში ალემანების მეტოქე მეზობლების ჰიდილში გაირკვევა, როდესაც მექსიკა აშშ-ს დაუპირისპირდება.

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

**მატჩი №50. ნიიგატა. იაპონია. 15 ივნისი. 1/8 ფინალი.**
**დანია – ინგლისი 0-3**
*დანია:* სორენსენი, ტოფტინგი (კ. იენსენი 60), ჰენრიკსენი, ლაურსენი, ჰელვეგი (ბოგელუნდი 8), გრავესენი, გრონკიაერი, ტომასონი, სანდი, ნ. იენსენი, რომედალი.
*ინგლისი:* სიმენი, მილსი, ე. კოული, ფერდინანდი, კემპბელი, ბექჰემი, სინკლერი, ბათი, სქოულზი (დაიერი 50), ოუენი (ფაულერი 46), ჰესკი (შერინგემი 68).
*გოლები:* 0-1 ფერდინანდი (5), 0-2 ოუენი (22), 0-3 ჰესკი (44).
*გააფრთხილეს:* ტოფტინგი, მილსი.
*მსაჯი:* მარკუს მერკი (გერმანია).

## ინგლისი დარჩა, დანია შინ მიდის

ნიიგატას კობტა სტადიონზე ბრიტანელები თავს ისე გრძნობდნენ, როგორც თევზი წყალში, ამინდიც მათი შესაფერისი იყო. შაბათ დღეს იაპონურ საპორტო ქალაქში ერიკსონის

(იხ. მე-5 გვ.)

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

(მე-4 გვერდიდან)

ლაშქარმა გადათელა სკანდინავიური ლეგიონი, კოკისპირულმა წვიმამ კი სრულიად წაშალა ვიკინგთა კვალი ამომავალი მზის ქვეყანაში.

მერვედფინალურმა მატჩმა ცხადჰყო, თუ რამ გააძლებინა ინგლისს „სიკვდილის" ჯგუფში. ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული წყვილის პაექრობა კარგი სანახავი გამოდგა. ერთობ სიმპათიურ დანიას გზის გაგრძელების ძალა აღარ ეყო. კლასმა, აწყობილმა თამაშმა თავისი გაიტანა. შვედური გემოვნებით აწყობილი ალბიონელთა ეროვნული ნაკრები, თანდათან იხვეწება და აგერ, უკვე მეოთხედფინალში გასული, საკადრის მეტოქეს ელის. მატჩი დანიელთათვის დასაწყისიდან დაინავსა. სკანდინაველი მცველების შეუთანხმებელ ქმედებას მათ კართან კუთხური მოჰყვა. ბექჰემმა ჩვეული სიზუსტით გაგზავნა ბურთი კარისკენ, ფერდინანდმა თავით დაარტყა, სორენსენმა ბურთი ხელებში ვერ დაიმორჩილა და ანგარიში გაიხსნა. ინგლისმა შეგნებულად დათმო მინდვრის ცენტრი. ტერიტორიული უპირატესობა ოლსენის ბიჭებისთვის ვერაფერი ნუგეში გამოდგა. ერთადერთი სახიფათო მომენტი ებე სანდიმ შექმნა, თუმცა ხელსაყრელი პოზიციიდან დარტყმული ბურთი კარს ასცილდა. მანამდე, ოუენმა იქუხა, მერე ჰესკიმ მოიქნია მარჯვედ და მატჩის ბედიც გაირკვა. მეორე ტაიმში დანია გამუდმებით უტევდა, ინგლისი მშვიდად იგერიებდა იერიშებს და კლასსა და უპირატესობას ყოველწუთიერად ამტკიცებდა. ჩემპიონატს ღირსეული მეოთხედფინალისტი ჰყავს.



**მატჩი №51. ოიტა. იაპონია. 16 ივნისი. 1/8 ფინალი**
**შვედეთი – სენეგალი 1-2 (დ.დ. 0-1)**
***შვედეთი:*** ჰედმანი, მელბერგი, მიალბი, ლინდეროტი, ალექსანდერსონი (იბრაჰიმოვიჩი 74), ა. სვენსონი, ობოკი (ა. ანდერსონი 63), იაკობსონი, ლუკიჩი, მ. სვენსონი (იონსონი 98), ჰ. ლარსონი.
***სენეგალი:*** ტ. სილვა, ო. დაფი, პ.მ. დიოპი (ბეიე 63), ა. სისე, დიატა, კოლი, ფეიე, პ.ბ. დიოპი, ტიავუ, ა. კამარა, ელ. ჰ. დიუფი.
*გოლები:* 1-0 ჰ. ლარსონი (11), 1-1, 1-2 ა. კამარა (37, 104).
*გააფრთხილეს:* კოლი, ტიავუ. *მსაჯი:* უბალდო აკინო (პარაგვაი).

## სენეგალმა კამარა შეკრა

ჩინებული სანახაობა იხილა იოტას ულტრა თანამედროვე სტადიონზე მისულმა, თუ ტელევიზორებს მიმსხდარმა მილიონობით მაყურებელმა. საშუალო ტემპი, ორთაბრძოლები, სახიფათო მომენტები, ძელს თუ ხარიხას მოხვედრილი ბურთები, დახვეწილი ტექნიკა, აფრიკული არტისტიზმი და პლასტიკა, შვედური აწყობილი, ტაქტიკურად გამართული თამაში და „ოქროს" გოლი. ჩემპიონატის აღმოჩენა ტრიუმფალურ სვლას განაგრძობს. სენეგალი მათემატიკური სიზუსტით მიუყვება თორმეტი წლის წინ კამერუნის ნაკრების მიერ გაკვალულ გზას, როდესაც მილამ და კომპანიამ მეოთხედფინალში გააღწია. ახლაც ასე მოხდა და თუ სენეგალელთა მომავალ მეტოქეებს გავეცნობით (იაპონია — თურქეთის წყვილში გამარჯვებული), სავსებით შესაძლებელია სენეგალმა მეტსაც მიაღწიოს, ანუ გახდეს პირველი აფრიკული გუნდი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდეს. აფრიკელთა ფრანგ მოძღვარს ბრუნო მეტიუს ჰყავს გუნდი და ელ ჰაჯი დიუფი, „ლანსის" 21 წლის თავდამსხმელი, რომელიც თანამოძმეებთან ერთად აფრიკული ზღაპრის ნამდვილი შემოქმედია.

უსამართლობა იქნებოდა არ აღვნიშნა შვედური დუეტის (ტომი სოდერბერგი და ლარს ლაგერბეკი) შესანიშნავი ანსამბლი, რომელსაც ცოტათი რომ გამართლებოდა (გავიხსენოთ სვენსონის დარტყმა და ხარიხას მოხვედრილი ბურთი) მეოთხედფინალში გავიდოდა. ისე კი, დაჰკარით დაფდაფებს! აფრიკული შავი საოცრება გრძელდება.



**მატჩი №52. სუვონი. კორეა. 16 ივნისი. 1/8 ფინალი**
**ესპანეთი – ირლანდია 1-1 (პენ. 3-2)**
***ესპანეთი:*** კასილიასი, ხუანფრანი, იერო, ელგერა, პუიოლი, ბარახა, დე პედრო (მენდიეტა 65), ვალერონი, ლუის ენრიკე, რაული (ლუკე 77), მორიენტესი (ალბელდა 73).
***ირლანდია:*** გივენი, ფინანი, ჰარტი (კონოლი 78), სტონტონი (კანინგემი 50), გ. კელი (ქვინი 55), ჰოლანდი, კინსელა, ბრინი, დაფი, რობი კინი, კილბეინი
*გოლები:* 1-0 მორიენტესი (8), 1-1 კინი (90 პენ.)
პენალტი ვერ გამოიყენა ჰარტმა (63).
*გააფრთხილეს:* ხუანფრანი, ბარახა, იერო.
*მსაჯი:* ანდრეს ფრისკი (შვედეთი).
*პენალტები დაარტყეს:* ესპანეთი — იერო, ბარახა, ხუანფრანი (ააცილა), ვალერონი (მეკარე), მენდიეტა; ირლანდია — კინი, ჰოლანდი (ძელი), კონოლი (მეკარე), კილბეინი (მეკარე), ფინანი.

## კასილიასი ხაზზე, ირლანდია გზაზე

კვირას გამართულმა მერვედფინალურმა მატჩებმა ცხადჰყო, რომ ამ ეტაპზე გასასეირნებლად არავის ეცლება. ნაღდი ჩემპიონატი ახლა იწყება. ევროპელთა დაპირისპირებასაც წუთითაც არ მოჰკლებია დაძაბულობა. თამაში მაღალ ტემპში დაიწყო. ფავორიტად მიჩნეული ესპანელები მალე დაწინაურდნენ და აქედან დაიწყო სამხრეთელთა ტანჯვა. ესპანელებს ალბათ, ჩვეულებად ექცათ, ნებისმიერი სანაკრებო ტურნირის დასკვნით ეტაპზე ქარს გაატანონ ჯგუფში მოპოვებული უპირატესობა და [illegible] „რომ" [illegible] დაიჯერა, რომ [illegible] და [illegible]. ხაზი მთლიანად შეცვალა. მორიენტესისა და რაულის გარეშე დარჩენილი გუნდი კი მხოლოდ ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრობდა, მაგრამ... მისი მეტოქე, ხომ ირლანდია იყო, გუნდი, რომელიც ევროპაში უპირველესად თავისი ქინითა და მონდომებითაა ცნობილი. [illegible] ეს [illegible] ირლანდიის [illegible] ნაკრები [illegible] იქნება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე. თუმცა მატჩს მივუბრუნდეთ. კასილიასი რომ არა, ესპანელები უეჭველად აიბარგებოდნენ და შინ წავიდოდნენ, მათ არაერთხელ შეეძლოთ გამარჯვება ძირითად დროში მოეპოვებინათ, მაგრამ ზედმეტი თვითდაჯერებისათვის დაისაჯნენ. შვედმა არბიტრმა ფრისკმა გაბედა და ფავორიტთა კარში ორი პენალტი დანიშნა. მწვანე კუნძულის ბინადრებმა ერთი გამოიყენეს. დამატებით დროშიც იბრძოლეს, მაგრამ პენალტების ზუსტად შესრულებისათვის ძალა აღარ ეყოთ. მოკლედ, ესპანელებმა გაჭირვებით გააღწიეს მეოთხედფინალში, იქ კი რას შეძლებენ, არავინ იცის. ალბათ, ისევ ჰაბუკი მეკარის კასილიასის იღბლის იმედად იქნებიან.



***ბომბარდირები***
**მიროსლავ კლოზე (გერმანია) — 5**
**რონალდო (ბრაზილია) — 5**
**რივალდო (ბრაზილია) — 4**
**იონ დალ ტომასონი (დანია) — 4**

## მერვედფინალები

***15 ივნისი***
**გერმანია** — პარაგვაი 1-0
დანია — **ინგლისი** 0-3
***16 ივნისი***
შვედეთი — **სენეგალი** 1-2 (დ.დ.)
**ესპანეთი** — ირლანდია 1-1 (პ. 3-2)
***17 ივნისი***
მექსიკა — **აშშ** 0-2
**ბრაზილია** — ბელგია 2-0
***დღეს, 18 ივნისს***
იაპონია — თურქეთი
კორეა — იტალია

## მეოთხედფინალები

***21 ივნისი***
ინგლისი — ბრაზილია 11.30
გერმანია — აშშ 16.30

დამთავრდა ჯგუფური ტურნირი, პარადოქსებითა და მოულოდნელობებით. [illegible] მსოფლიოს XVII ჩემპიონატი ნელ-ნელა ლოგიკურ [illegible]. აშკარა უპირატესობით, თუ დიდი გაჭირვებით, ფავორიტები ასპარეზობას აგრძელებენ. დღეს მერვედფინალებიც დასრულდება. ჩემპიონატების მონაწილენი ორი დღით შეისვენებენ, პარასკევს და შაბათს ისევ დაიწყება ვნებათაღელვა. ამჯერად, მეოთხედფინალებში. ამ ეტაპზე ისეთი გუნდები დაწყვილდნენ, რომ ოთხივე მათგანი ფინალსაც დაამშვენებდა, მაგრამ გაიმარჯვებს მხოლოდ ერთი, ასეთია სპორტული, თუ, საერთოდ, ცხოვრებისეული კანონი. ჩვენ ისღა დაგვრჩენია იმათ ვუქომაგოთ,

# ჩემპიონატის გარშემო...

### ესპანეთის მეფე ქვეყნის ნაკრების მეოთხედფინალურ მაჩს დაესწრება

**ესპანეთის ნაკრები გავიდა მეოთხედფინალში და ცხადია, ამ ფაქტმა ესპანელი გულშემატკივრები გაახარა. გულგრილი არც ქვეყნის მეფე ხუან კარლოსი დარჩენილა. ის აპირებს დაესწროს ესპანეთის ნაკრების მატჩს მეოთხედფინალში. აქვე გეტყვით, რომ ამ ეტაპზე ესპანელთა მეტოქე სამხრეთ კორეა — იტალიის დღევანდელ მატჩში გამარჯვებული იქნება.**

### კორეელები „სკუადრა აძურასთან" მოგებაზე ფიქრობენ

კორეელმა სპეციალისტებმა გააანალიზეს მატჩები იტალიის ნაკრების მონაწილეობით და თვლიან, რომ ამ გუნდის დამარცხება რეალურია. „ჩვენ დარწმუნებული ვართ საკუთარ შესაძლებლობებში და გვჯერა, რომ „სკუადრა აძურასთან" აუცილებლად გავიმარჯვებთ" — განაცხადა სამხრეთ კორეის ნაკრების მცველმა კიმ ტე იუნმა.

ასეთივე აზრისაა კოეელთა მთავარი მწვრთნელი გუს ჰიდინგიც.

### ტაივანის ხელისუფლება სენეგალის ნაკრებს ეპატიჟება

**მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებით ასპარეზობის ფონზე ტაივანის ხელისუფლებამ სენეგალის ნაკრები მიიწვია რამდენიმე საჩვენებელი მატჩის გასამართავად ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ. ტაივანის ხელისუფლების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა სააგენტო „როიტერის" ჟურნალისტთან საუბარში აღნიშნა, რომ სენეგალის ბრწყინვალე თამაშის შემდეგ ამ ქვეყნისადმი ინტერესი მნიშვნელოვნად გაიზარდა. გარდა ამისა, თვით ტაივანშიც კი, ფეხბურთმა, რომელსაც პოპულარობით მანამდე მესამე საფეხური ეკავა ბეისბოლისა და კალათბურთის შემდეგ, სპორტის ბევრი გულშემატკივრის გული მოიგო.**

### სტონტონმა და ქვინმა სანაკრებო კარიერა დაასრულეს

მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალურ მატჩში ესპანეთის ნაკრებთან პენალტების სერიაში დამარცხების შემდეგ ირლანდიის ნაკრების ვეტერანებმა სტივ სტონტონმა და ნეილ ქვინმა განაცხადეს, რომ მათ დაასრულეს თავიანთი სანაკრებო კარიერა.

33 წლის სტონტონი ყველაზე ტიტულოვან მოთამაშედ ითვლება ირლანდიის ნაკრების ისტორიაში. მან ამ გუნდის შემადგენლობაში 102 მატჩი ჩაატარა და ერთადერთია, ვინც ყველა იმ მსოფლიო ჩემპიონატში ითამაშა, სადაც კი ირლანდიის ნაკრებს უასპარეზია.

სტონტონი ამჟამად ინგლისური საფეხბურთო კლუბის — „ასტონ ვილას" ღირსებას იცავს.

### ბექჰემს გული ამომავალ მზის ქვეყანაში მიუწევს



**ინგლისის ნაკრების კაპიტანმა დევიდ ბექჰემმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ არ იქნება წინააღმდეგი იმისა, რომ მან თავისი საფეხბურთო კარიერა იაპონიაში დაასრულოს.**

**ბექჰემმა ახლახან ხელი მოაწერა „მანჩესტერ იუნაიტედთან" ახალ კონტრაქტს, რომლის თანახმადაც ყოველკვირეულად... 140 ათას დოლარს მიიღებს, თუმცა ინგლისელ ფეხბურთელს მაინც იზიდავს ამომავალი მზის ქვეყანა. — სადაც მას აღმერთებენ კიდეც.**

# ჯგუფური ტურნირების საბოლოო შედეგები

| A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | | 0-1 | 0-0 | 0-2 | 0-3 | 1 | IV |
| სენეგალი | 1-0 | | 3-3 | 1-1 | 5-4 | 5 | II |
| ურუგვაი | 0-0 | 3-3 | | 1-2 | 4-5 | 2 | III |
| დანია | 2-0 | 1-1 | 2-1 | | 5-2 | 7 | I |

| B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | | 3-1 | 3-1 | 3-2 | 9-4 | 9 | I |
| სლოვენია | 1-3 | | 1-3 | 0-1 | 2-7 | 0 | IV |
| პარაგვაი | 1-3 | 3-1 | | 2-2 | 6-6 | 4 | II |
| სამხ.აფრიკა | 2-3 | 1-0 | 2-2 | | 5-5 | 4 | III |

| C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | | 2-1 | 4-0 | 5-2 | 11-3 | 9 | I |
| თურქეთი | 1-2 | | 3-0 | 1-1 | 5-3 | 4 | II |
| ჩინეთი | 0-4 | 0-3 | | 0-2 | 0-9 | 0 | IV |
| კოსტა-რიკა | 2-5 | 1-1 | 2-0 | | 5-6 | 4 | III |

| D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამხ.კორეა | | 2-0 | 1-1 | 1-0 | 4-1 | 7 | I |
| პოლონეთი | 0-2 | | 3-1 | 0-4 | 3-7 | 3 | IV |
| აშშ | 1-1 | 1-3 | | 3-2 | 5-6 | 4 | II |
| პორტუგალია | 0-1 | 4-0 | 2-3 | | 6-4 | 3 | III |

| E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | | 8-0 | 1-1 | 2-0 | 11-1 | 7 | I |
| საუდეთი | 0-8 | | 0-3 | 0-1 | 0-12 | 0 | IV |
| ირლანდია | 1-1 | 3-0 | | 1-1 | 5-2 | 5 | II |
| კამერუნი | 0-2 | 1-0 | 1-1 | | 2-3 | 4 | III |

| F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | | 1-0 | 0-1 | 1-1 | 2-2 | 4 | III |
| ნიგერია | 0-1 | | 0-0 | 1-2 | 1-3 | 1 | IV |
| ინგლისი | 1-0 | 0-0 | | 1-1 | 2-1 | 5 | II |
| შვედეთი | 1-1 | 2-1 | 1-1 | | 4-3 | 5 | I |

| G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | | 2-0 | 1-2 | 1-1 | 4-3 | 4 | II |
| ეკვადორი | 0-2 | | 1-0 | 1-2 | 2-4 | 3 | IV |
| ხორვატია | 2-1 | 0-1 | | 0-1 | 2-3 | 3 | III |
| მექსიკა | 1-1 | 2-1 | 1-0 | | 4-1 | 7 | I |

| H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| იაპონია | | 2-2 | 1-0 | 2-0 | 5-2 | 7 | I |
| ბელგია | 2-2 | | 3-2 | 1-1 | 6-5 | 5 | II |
| რუსეთი | 0-1 | 2-3 | | 2-0 | 4-4 | 3 | III |
| ტუნისი | 0-2 | 1-1 | 0-2 | | 1-5 | 1 | IV |

## მარტინა ნავრატილოვა დიდ ჩოგბურთს უბრუნდება


ნავრატილოვა

ინგლისურ ქალაქ ინსბორნში გუშინ დაიწყო საერთაშორისო საჩოგბურთო ტურნირი, რომელიც იმით არის წელს გამორჩეული, რომ სწორედ აქ შედგა ლეგენდარული ჩოგბურთელის მარტინა ნავრატილოვას დაბრუნება დიდ ჩოგბურთში. ნავრატილოვას „დიდი შლემის" 18 ტიტული აქვს მოპოვებული, ხოლო ინსბორნის ტურნირებზე 11-ჯერ გაუმარჯვნია.

## არმსტრონგი «ტურ დე ფრანსის» მოგებაზე ფიქრობს

ამერიკელმა ველომრბოლმა ლენს არმსტრონგმა „დოფინ ლიბერესი"-ს 150 კილომეტრის დისტანციაზე გამართული შეჯიბრება მოიგო. „დოფინ ლიბერესი" არმსტრონგისათვის ერთგვარ გენერალურ რეპეტიციას წარმოადგენდა მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული ველომრბოლის „ტურ დე ფრანსის" წინ, რომელიც 6 ივლისს იწყება. „დოფინ ლიბერესში" გამარჯვებამ ცხადჰყო, რომ ლენს არმსტრონგი შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია და აპირებს, „ტურ დე ფრანსის" მოგებას.

„დოფინ ლიბერესის" ტექნიკური შედეგები:
1. ლენს არმსტრონგი (აშშ) – 28 სთ, 38,50 წთ. 2. ფლოიდ ლანდისი (აშშ), 3. კრისტოფ მორო (საფრანგეთი).



## კაფელნიკოვმა ჰალეს ტურნირი მოიგო


კაფელნიკოვი

ჰალეში დასრულდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის გამარჯვებული გახდა რუსი ჩოგბურთელი ევგენი კაფელნიკოვი. როგორც გახსოვთ, ერთი კვირის წინ, საფრანგეთის ღია პირველობაზე, წყვილთა თანრიგში გამარჯვებით მან 25-ე ტიტული მოიპოვა. ამჯერად, ჰალეში გამარჯვებაც 25-ე ტიტული აღმოჩნდა ერთეულთა თანრიგში.

ჰალეს საჩოგბურთო ტურნირების ისტორიაში კაფელნიკოვი უკვე მეოთხედ გავიდა შეჯიბრების ფინალში. მისი მეტოქე იყო გერმანელი ნიკოლას კიფერი. პირველი სეტი გერმანელი ჩოგბურთელის გამარჯვებით დასრულდა – 6:2. თუმცა შემდგომში კაფელნიკოვმა შეძლო გარდატეხის შეტანა და საბოლოო გამარჯვების მოპოვება – 6:4, 6:4.

ამავე ტურნირის წყვილთა თანრიგში კაფელნიკოვი ფრანგ სანტოროსთან ერთად დამარცხდა ბიორკმან (შვედეთი) – ვუდბრიჯის (ავსტრალია) წყვილთან – 4:6, 1:6.

ფინალში ბიორკმანმა და ვუდბრიჯმა პრინოში (გერმანია) – რიკლთან (ჩეხეთი) წააგეს – 6:4, 6:7, 5:7.

## ჰაკინენი „მაკლარენში" ბრუნდება

„ფორმულა-1"-ის ერთ-ერთი პოპულარული ავტოპილოტი მიკა ჰაკინენი 2003 წლის სეზონიდან „მაკლარენის" ავტომობილის საჭეს უბრუნდება.


ჰაკინენი

შეგახსენებთ, რომ შარშანდელი წარუმატებლობის შემდეგ, ჰაკინენმა გადაწყვიტა, მიმდინარე წელს დაესვენა და „ფორმულა-1"-ის რბოლებისათვის მხოლოდ ტელევიზორით ეცქირა. ჟურნალისტებთან საუბარში ჰაკინენმა განაცხადა, რომ საკმარისად დაისვენა და მომავალ სეზონს გაათკეცებული ენერგიით შეხვდება. ასე რომ, „მაკლარენი" გაისად წარმოადგენს „ფორმულა-1"-ის ისტორიაში ყველაზე წარმატებულ წყვილს ჰაკინენისა და კულტჰარდის შემადგენლობით.

## ფეოფანოვას ევროპის რეკორდი

საფრანგეთის ქალაქ ლილში მიმდინარე მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირში რუსმა სვეტლანა ფეოფანოვამ ჭოკით ხტომაში ევროპის რეკორდი დაამყარა: მან 4 მეტრი და 76 სანტიმეტრი სიმაღლე დასძლია. „მაინც არ ვარ კმაყოფილი – განაცხადა სვეტლანა ფეოფანოვამ, – ვინაიდან, შემეძლო მსოფლიო რეკორდის დამყარებაც". მეორე ადგილზე გავიდა გერმანელი ივონა ბუშბაუმი (4 მ 51 სმ), ხოლო მესამეზე – რუსი ელენა ბელიაკოვა (4 მ. 41 სმ).


ფეოფანოვა

## მოჭადრაკე ვაჟთა ინდივიდუალურ ევროპის ჩემპიონატზე...

ბათუმში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატი. ხუთი ტურის შემდეგ 4,5 – 4,5 ქულით შეჯიბრებას ლიდერობენ დიმიტრი იაკოვენკო და ვასილიოს კოსტრონიასი. ამ უკანასკნელმა მეხუთე ტურში მოუგო ბაადურ ჯობავას, რომელსაც 3,5 ქულა დარჩა. ამდენივე ქულა აქვთ მიხეილ კეკელიძესა და ზურაბ სტურუას (ისინი ერთმანეთს დაუზავდნენ), აგრეთვე გიორგი ყაჭეიშვილსა და მერაბ გაგუნაშვილს.

ქართველი მოჭადრაკეებიდან 3-3 ქულა აქვთ ხვიჩა სუპატაშვილს, ვალერი გაფრინდაშვილს, ზვიად იზორიას, მიხეილ მჭედლიშვილს, დავით შენგელიას, თამაზ გელაშვილს; 2,5-2,5 ქულა მოაგროვეს დავით ჯოჯუამ, მაია ჩიბურდანიძემ, ანა მათნაძემ, 2-2 ქულა – მალხაზ სულაშვილმა, ლევან აროშიძემ, ჯამბულ მახარაძემ, ივერი ჭილაძემ, ზვიად ქამადაძემ და მიხეილ ქანთარიამ, 1,5-1,5 – კონსტანტინე შანავამ, დავით ურუშაძემ და დავით მალალაშვილმა. ბაჩანა მორჩიაშვილს მხოლოდ 1 ქულა აქვს.

შეგახსენებთ, რომ შეჯიბრება 13 ტურად თამაშდება.

თენგიზ ჩოგანიძე

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**18 ივნისი, შაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. მ/ჩ მერვედფინალური მატჩები (11.20, 16.20, 21.00 – ვიდეოჩანაწერი), II არხი. ფეხბურთი. მ/ჩ. მერვედფინალური მატჩი (19.00). *ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი" (20.00). *მე-9 არხი.* მ/ჩ დღიური (21.10). ***НТВ плюс футбол.*** მ/ჩ 1/8 ფინალები (11.20, 16.10, 23.25), ***НТВ плюс спорт.*** საცხენოსნო სპორტი (18.50), EUROSPORT. ფეხბურთი. მსოფლიო თასის კლასიკა (12.30, 14.00, 2.15), „ჟილეტი" ოცნების გუნდი (15.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (17.00), ფეხბურთი. აზიის კულტურის თასი (3.15, 4.45).

**19 ივნისი, ოთხშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი" (20.45, 22.30), *მე-9 არხი.* ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის დღიური (21.10), ***НТВ плюс футбол.*** ფეხბურთი. მ/ჩ. მერვედფინალები (13.15, 14.55), ყველა დროის მატჩი. 1966 წლის ჩემპიონატის ფინალი (21.25). ***НТВ плюс спорт.*** ბრძოლა წესების გარეშე (15.40), კრივი. მსოფლიო თასი (17.15), ცხენოსნობა. მსოფლიო თასი (18.50). პროფესიული კრივი (22.55). EUROSPORT. ნიჩბოსნობა. მსოფლიო თასი (11.30), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (13.30), ცხენოსნობა. ერთა თასი (0.00), ფეხბურთი. მსოფლიო თასის კლასიკა (2.15).

**20 ივნისი, ხუთშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. ფიფას თასი. იუნიორები (17.20), *ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი" (10.45, 20.00), ***НТВ плюс футбол.*** ყველა დროის ფინალური მატჩები. 1966 წლის ფინალი (17.00), 1970 წლის ფინალი (21.00), ***НТВ плюс футбол.*** კიკბოქსინგი. პროფესიონალთა მატჩი (16.10). კრივი. მსოფლიო თასი (17.15), საცხენოსნო სპორტი (18.50), კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (20.45, 0.50), სპორტული ცეკვები. ევროპის ჩემპიონატი (22.25), აშიხარა-კარატე. მსოფლიო ჩემპიონატი (23.20). EUROSPORT. ფეხბურთი. „Danone"-ს თასი (13.00). მსოფლიო თასის კლასიკა 2.15). აზიის კულტურის თასი (3.15, 4.45).

## სუპერმარათონი ბელორუსმა მორბენალმა მოიგო

ბელორუსმა მორბენალმა ვლადიმერ კოტოვმა მოიგო ტრადიციული სუპერმარათონი „კომრეიდისი", რომელიც სამხრეთ აფრიკაში პირველად ტარდება 1921 წლის შემდეგ. მან 87,3 კილომეტრი 5 საათსა და 30,59 წუთში დაფარა. შეგახსენებთ, რომ კოტოვმა ასევე მოიგო მარათონი 2000 წელსაც.

ქალთა შორის მარათონულ რბენაში გაიმარჯვა გერმანელმა მარია ბაკმა. მისი შედეგია 6 სთ და 14,21 წთ. ფინიშთან 3 წუთის დაგვიანებით მიირბინა რუსმა ნატალია ვოლგინამ.

## უკრაინაში პრემიერ-ლიგას ქმნიან...

დღეს კიევში ტარდება დამფუძნებელი კონფერენცია, რომელსაც განუზრახავს ახალი საფეხბურთო სტრუქტურის — პრემიერ-ლიგის ჩამოყალიბება. ასეთი სტრუქტურის შექმნის სურვილით გამოდიან უკრაინის უმაღლესი ლიგის 10 კლუბის ხელმძღვანელები.

## 910 ევროდ გაყიდეს...

გუშინ გაათავისუფლეს არგენტინული საფეხბურთო კლუბ „ლანუსის" მწვრთნელი დანიელ კორდობა, რომელიც შაბათს დაუდგენელმა პირებმა მძევლად აიყვანეს და, გამოსასყიდი მოითხოვეს. საინტერესოა, რომ მწვრთნელის გათავისუფლების სანაცვლოდ, გამტაცებლებს გადაუხადეს... 910 ევრო.

## ზაგრებში ყველას პოპოვმა აჯობა

ზაგრებში მიმდინარე მოცურავეთა საერთაშორისო ტურნირზე 100-მეტრიანი დისტანცია მოიგო რუსმა ალექსანდრე პოპოვმა. მისი შედეგია 49,78 წამი. ქალთა შორის უძლიერესი იყო შვედი ალხჰამერი — 55,73 წამი.



## ფრიც ვალტერი გარდაიცვალა

გუშინ 82 წლის ასაკში გარდაიცვალა ლეგენდარული გერმანელი ფეხბურთელი, გერმანიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ფრიც ვალტერი, რომელმაც მსოფლიოს 1954 წლის ჩემპიონატზე გუნდთან ერთად ოქროს მედლები დაისაკუთრა. ექიმების დასკვნით, ვალტერი ძილში „გაიპარა".

## სტყვავთა შორის... სტრიპტიზი და... მაციერი

ესპანური პორნოფილმების ვარსკვლავმა სელია ბლანკომ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ესპანეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავა, ის გუნდის მოთამაშეთათვის სპეციალურად მოაწყობს სტრიპტიზს...

ურუგვაის ნაკრები, რომელმაც ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის ბოლო ტურში გმირულად იბრძოლა და სენეგალის ნაკრებთან ფრეს მიაღწია, სამშობლოში თბილად მიიღეს და თითოეული მოთამაშე მაცივრით დააჯილდოვეს.

**თუ სხვაგან ვერ მოახერხეთ, „ლელოს" შეძენა ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გამომცემლობა „სამშობლოს" (რედაქციის ნინ. კოსტავას, 14) გამავრცელებელთან. მიიღება დაკვეთაც.**

## კროსვორდი № 46



თარაზულად: 3. წარსულში ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, 8. ფრანგული საფეხბურთო კლუბი, 10. სატანვარჯიშო იარაღი, 11. გამოუვალი საჭადრაკო მდგომარეობა, ყაიმი, 12. პორტუგალიური საფეხბურთო კლუბი, 15. „ფორმულა-1"-ში მონაწილე საავტომობილო ფირმა, 16. სარბენი გზა, მანძილი, 17. ქართული ეროვნული თამაშების სახეობა, 19. სამაგიდო თამაში, 20. ძალოსანი, მსოფლიოს ჩემპიონი.

შვეულად: 1. „ფორმულა-1"-ის ავტოპილოტი, 2. საჭადრაკო კოეფიციენტი, 4. ამერიკის საკალათბურთო ლიგა, 5. შეჯიბრება ლობიოთი ან სიმინდით სავსე პატარა პარკის აკენწვლაში, 6. ფეხბურთელის სპორტული ფორმის ერთ-ერთი ატრიბუტი, 7. მსოფლიოს ექსჩემპიონი, მოჭადრაკე ქართველი ქალი, 9. ილეთი კრივში, 13. ფეხბურთელის ჩაცმულობის ერთ-ერთი ატრიბუტი; 14. 70-80-იანი წლების ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი; 17. ინგლისელი ფეხბურთელი, 18. ქუთაისის სარაგბო კლუბი.

### კროსვორდი №45. პასუხები

თარაზულად: „ფილადელფია", 7. ნოა, 8. „როდა", 11. ლამა, 12. ხურციძე, 14. ჟური, 15. ინსაიდი, 16. კილი, 17. პრობლემა. შვეულად: 1. ფენი, 2. „ალგა", 3. ეკა, 4-6. ვარდიმიადი, ფედლევანიდი, 9. ნედერი, 10. ბურთაკი, 13. „ბასი".

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი



შამათი 2 სვლაში

„ლელო" №44-ში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. ლc6! 1. ...მფa3 2. კe7X.
1. ...მფa5 2. კd2X. 1. ...ხb2 2. კd2X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩქილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com